

შპს „AGE BATUM”

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

ს ა რ ჟ ე ვ ი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11-26
მმართველობის ანგარიშგება	27-31



აუდიტორული კომპანია
შ.პ.ს. „ჯ. ბ. აუდიტი“
AUDIT COMPANY
“J. B. Audit”, LLC
www.jbauditi.ge



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

შპს „AGE BATUM“-ის დამფუძნებელს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „AGE BATUM“-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „AGE BATUM“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების და ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღი წინ უსწრებდა ჩვენი როგორც აუდიტორებად დანიშვნის თარიღს. ამ გარემოების გამო, ჩვენ ვერ შევძელით გაგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების განხორციელება მარაგებთან, სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალის ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტს წავმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და

შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები - ფასს-ის სტანდარტზე გადასვლის თარიღი

ყურადღებას ვამახვილებთ ახსნა განმარტებითი შენიშვნების მე-4 თავის „ა“ შენიშვნაზე, სადაც აღწერილია ფასს-ის სტანდარტზე გადასვლის თარიღი. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს „AGE BATUM“-ის დასახმარებლად, რათა დაკმაყოფილდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნები. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არ იყოს შესაფერისი სხვა მიზნებისთვის. ჩვენი დასკვნა განკუთვნილია მხოლოდ შპს „AGE BATUM“-ის ხელმძღვანელობისთვის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში წარსადგენად. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან დაკავშირებით.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები ის საკითხებია, რომლებიც, ჩვენი პროფესიული განსჯის საფუძველზე, ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში და აუდიტზე დაყრდნობით ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბებისას, შესაბამისად ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვხატავთ. ამასთან დავადგინეთ, რომ „პირობითი მოსაზრების საფუძველი“-ნაწილში აღწერილი საკითხის გარდა, ქვემოთ განხილული საკითხებიც აუდიტის ძირითადი საკითხებია, რომელთა შესახებაც ინფორმირება აუცილებელია ჩვენს დასკვნაში.

ქვემოთ მოცემულია თითოეული საკითხისთვის, განმარტება იმისა, თუ როგორ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტის განმავლობაში, წარმოდგენილია ჩვენივე აუდიტის კონტექსტში.

ჩვენ შევასრულეთ პასუხისმგებლობა, რომელიც დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე“, აღნიშნული საკითხების ჩათვლით. შესაბამისად, ჩვენი აუდიტი მოიცავდა ისეთი პროცედურების ჩატარებასაც, რითაც შევაფასებდით ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს. ჩვენი აუდიტის პროცედურების, მათ შორის, ქვემოთ მოცემული საკითხების განსახილველად ჩატარებული პროცედურების შედეგები წარმოადგენს თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი აუდიტორული მოსაზრების საფუძველს.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშის საქმიანობის მიმოხილვის ნაწილს (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას), რომელიც მივიღეთ აუდიტის დასკვნის თარიღამდე.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენს მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენს შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაზე, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე. განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ას-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით

ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებს მომხმარებლის მიერ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე. ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს. ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობების რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით. რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „AGE BATUM“-ის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ექვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა შპს „AGE BATUM“ გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორულ დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებზე ან თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორული დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას, თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს შპს „AGE BATUM“-ის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს, ფუნქციონირების შეწყვეტა.

მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს. განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამისი ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

კომპანიის ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის, შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომელსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ამასთანავე, კომპანიის ხელმძღვანელობას წარვუდგენთ წერილობით განცხადებას, რომ ვაკმაყოფილებთ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და ვატყობინებთ ყოველგვარი ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც გონივრულ ფარგლებში შეიძლება ექვს იწვევდეს ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ, და თუ შესაძლებელია წარმოვადგენთ შესაბამის გარანტიებს.

ხელმძღვანელობასთან წარდგენილ საკითხებს შორის განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში და შესაბამისად, სწორედ ისინი წარმოადგენს აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. აღნიშნულ საკითხებს აღვწერთ აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონით ან ნორმატიული აქტით არ არის აკრძალული საკითხის საჯაროობა, ან თუ, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, გადავწყვეტთ რომ საკითხი არ უნდა აისახოს ჩვენს დასკვნაში, რადგან გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ამით გამოწვეული უარყოფითი შედეგები გადაწონის ამ ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელს.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობითი ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის მიმოხილვის შესახებ.

შპს „AGE BATUM“-ის საქმიანობის მიმოხილვა ასახავს მისი განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობის ანალიზს. იგი ასევე საქმიანობის მიმოხილვაში ასახავს კომპანიის განვითარების გეგმას, მიმოხილავს კომპანიის განვითარების ეტაპებს.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ა) ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ინფორმაცია შეესაბამება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას.

ბ) ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგება სრულად არ მოიცავს კანონით განსაზღვრულ ყველა ინფორმაციას. კონკრეტულად მასში არ არის მოცემული წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები; ჩვენი აზრით არასაკმარისია სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის შესახებ.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის მარიამ ფიცხელაური.

მარიამ ფიცხელაური

შპს „ჯ.ბ. აუდიტის“ სახელით

25 სექტემბერი, 2018 წელი

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის მარიამ ფიცხელაური.

მარიამ ფიცხელაური

შპს „ჯ.ბ. აუდიტის“ სახელით

25 სექტემბერი, 2018 წელი



შპს AGE BATUM

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31-Dec-2017	1-Jan-2017
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	7,499,799	10,828,357
არამატერიალური აქტივები	12	24,273	31,897
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები		7,524,072	10,860,253
მარაგები	13	3,843,163	17,282,222
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	2,867,075	9,617,817
გადახდილი ავანსები		290,056	970,224
წინასწარ გადახდილი გადასახადები			
სხვა მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	15	2,930,760	11,961,637
მიმდინარე აქტივები		9,931,054	39,831,900
სულ აქტივები		17,455,127	50,692,154
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	
გაუნაწილებელი მოგება		10,753,264	15,603,501
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი	-	766,108	5,162,183
სულ კაპიტალი		9,987,155.330	20,765,684.600
ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები		-	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	6,542,421	24,439,328
საგადასახადო ვალდებულებები		925,550	5,487,141
მიმდინარე ვალდებულებები		7,467,971	29,926,469
სულ ვალდებულებები		7,467,971	29,926,469
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		17,455,127	50,692,154

იავუზ დიქერ

დირექტორი

ქეთევან ძირკვაძე

მთავარი ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

மேலேயுள்ள பிழைப்புகள்:

Amelia

შპს AGE BATUM

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2017 წლისთვის

ლარი	შენიშვნა	2017
შემოსავალი	6	80,662,477
რეალიზებული საქონლის/ გაწეული მომსახურების თვითღირებულება	7	(65,881,047)
სრული მოგება		14,781,429
სხვა შემოსავალი/ხარჯი	9	15,786
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(12,928,268)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		1,868,948
წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი	10	(2,635,056)
მოგება დაბეგვრამდე		(766,108)
მოგების გადასახადის ხარჯი		-
მოგება წლის განმავლობაში		(766,108)
სხვა სრული შემოსავალი		
<i>ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება კლასიფიცირებული მოგებად ან ზარალად</i>		-
სხვა მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(766,108)

იავუზ დიქერ

დირექტორი

ქეთევან ძირკვაძე

მთავარი ბუღალტერი

შპს AGE BATUM

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2017 წლისთვის

ლარი	შენიშვნა	2017
შემოსავალი	6	80,662,477
რეალიზებული საქონლის/ გაწეული მომსახურების თვითღირებულება	7	(65,881,047)
სრული მოგება		14,781,429
სხვა შემოსავალი/ხარჯი	9	15,786
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(12,928,268)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		1,868,948
წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი	10	(2,635,056)
მოგება დაბეგვრამდე		(766,108)
მოგების გადასახადის ხარჯი		-
მოგება წლის განმავლობაში		(766,108)
სხვა სრული შემოსავალი		
ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება კლასიფიცირებული მოგებად ან ზარალად		-
სხვა მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(766,108)



დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

(Handwritten signatures in blue ink)

შპს AGE BATUM

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2017 წლისათვის

ლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ
2017 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	-	20,765,685	-	20,765,685
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება				-
ქონების გადაფასება				-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		(766,108)		(766,108)
განაწილებული დივიდენდი		(10,012,421)		(10,012,421)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	9,987,155	-	9,987,155

იავუზ დიქერ

დირექტორი _____

ქეთევან ძირკვაძე

მთავარი ბუღალტერი _____

შპს AGE BATUM

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2017 წლისათვის

ლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ
2017 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	-	20,765,685	-	20,765,685
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება				-
ქონების გადაფასება				-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		(766,108)		(766,108)
განაწილებული დივიდენდი		(10,012,421)		(10,012,421)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	9,987,155	-	9,987,155



დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს AGE BATUM

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2017 წლისათვის

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან 31-12-17

მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	94,761,837
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(45,133,126)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(24,466,357)
გადახდილი გადასახადები	(24,016,573)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(12,642)

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან 1,133,139

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით

ძირითადი საშუალებების შეძენა	(347,219)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან მიღებული შემოსულობანი	808,822
მიღებული პროცენტები	11,594

საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები 473,196

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

გადახდილი დივიდენდები	(9,511,800)
-----------------------	-------------

საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები (9,511,800)

ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	(1,125,412)
---	-------------

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(9,030,877)
--	-------------

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	11,961,637
--	------------

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის 2,930,760

იავუზ დიქერ _____ დირექტორი

ქეთევან ძირკვაძე _____ მთავარი ბუღალტერი

შპს AGE BATUM

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2017 წლისათვის

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან 31-12-17

მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	94,761,837
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(45,133,126)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(24,466,357)
გადახდილი გადასახადები	(24,016,573)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(12,642)

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან 1,133,139

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოყენებით

ძირითადი საშუალებების შეძენა	(347,219)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან მიღებული შემოსულობანი	808,822
მიღებული პროცენტები	11,594

საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები 473,196

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

გადახდილი დივიდენდები	(9,511,800)
-----------------------	-------------

საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები (9,511,800)

ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	(1,125,412)
---	-------------

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(9,030,877)
--	-------------

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	11,961,637
--	------------

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის 2,930,760



დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

(Handwritten signatures)

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს „AGE BATUM“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა საქართველოში 2013 წლის 04 ივნისს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანიის“ რეგისტრაციის ნომერია: 445426762.

„კომპანიის“ იურიდიული მისამართია: შავშეთის ქუჩა №6, შავშეთის ქუჩა №2/4, გოგებაშვილის ქუჩა №60, ბათუმი, საქართველო.

„კომპანიის“ ძირითადი საქმიანობა მოიცავს ჰიდრო ელექტრო სადგურების მშენებლობას. კერძოდ, „კომპანია“ შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ დაკვეთით მაღალმთიან აჭარაში ახორციელებს აჭარისწყლის ჰესების კასკადის გარკვეულ სამშენებლო სამუშაოებს, რომელიც ცნობილია როგორც შუახევის 185 მეგავატიანი ჰიდროელექტრო სადგური. პროექტის შესრულების პერიოდი თავდაპირველი შეთანხმების მიხედვით განსაზღვრული იყო 2013-2017 წწ, ხოლო კონტრაქტის თავდაპირველი ღირებულება 216,220,000 აშშ დოლარი. აღნიშნული თანხა და პერიოდი შემდგომში რამოდენიმეჯერ დაკორექტირდა და გაიზარდა, 2017 წლის აგვისტოში დიდაჭარა-შუახევის სათავე ტუნელი და სხალთა-დიდაჭარის დამაკავშირებელი ტუნელები დაზიანდა, რამაც გაზარდა პროექტის დასრულების სავარაუდო ვადა 2019 წლის ნოემბრამდე, ხოლო პროექტის ღირებულება 312,000,000 აშშ დოლარამდე.

„კომპანიის“ 100%-იანი წილის მფლობელია დიდიდან დაფუძნებისა თურქეთში რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება აგე ინშაათ ვე თიჯარეთ (0080066907).

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები განხილულია მე-19 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნების დაცვით.

ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია გამოსაცემად 2018 წლის 25 სექტემბერს.

ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

„კომპანიის“ საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, „კომპანია“ დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზრები ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, სირთულეებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიებს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას „კომპანიის“ ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

„კომპანიის“ მთავარი და ერთადერთი დამკვეთი არის შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“, რომელთანაც დადებული ხელშეკრულების ვადა ბოლო ცვლილებით გაგრძელდა 2019 წლის 15 ნოემბრამდე. აღნიშნული პროექტის დამთავრების შემდეგ „კომპანიას“ სხვა დამკვეთი ამ ეტაპზე არ ჰყავს.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ა) „კომპანიის“ მიერ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად ხდება პირველად, წინა პერიოდებში ფინანსური ანგარიშგება საერთოდ არ ყოფილა წარდგენილი. ფასს 1-ის მიხედვით სტანდარტზე გადასვლის თარიღი არის 2016 წლის 1 იანვარი, მაგრამ „კომპანია“ იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2018 წლის 17 აპრილს გამოქვეყნებულ სარეკომენდაციო მითითებას, რაზე დაყრდნობითაც ფასს-ზე გადასვლის თარიღი „კომპანიისთვის“ არის 2017 წლის 1 იანვარი.

ბ) უცხოური ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტა არის ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

გ) ძირითადი საშუალებები

i) აღიარება და შეწყვეტა

ძირითადი საშუალებების აღსარიცხავად „კომპანია“ იყენებს თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. როდესაც პერიოდულად ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის შეცვლა ხდება „კომპანია“ ასეთ ნაწილს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად სასარგებლო გამოყენების კონკრეტული ვადით და შესაბამისად აღრიცხავს ცვეთას. და მისი ხარჯის აღიარება ხორციელდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ჩანაცვლების ღირებულების სახით, აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

ii) ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება.

აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრა იმ დაშვებით, რომ გარკვეული დროის შემდეგ („გარკვეული დრო“ დამოკიდებულია ხელშეკრულების ვადებზე) მოხდება აქტივის გაყიდვა, ამიტომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მისი ეკონომიკური ვარგისიანობის ვადაზე ნაკლებია.

iii) აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

დ) არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადა შეიძლება იყოს განუსაზღვრელი ან შეზღუდული.

„კომპანია“ არ ფლობს სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასვლისას ან როდესაც არავითარი მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ არის მოსალოდნელი აქტივის გამოყენებისა და შემდგომი გასვლის შემდეგ. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტისას წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა აქტივის გასვლის წმინდა შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება შეწყდება. შემოსულობა არ კლასიფიცირდება ამონაგებად.

„კომპანია“ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივზე ამორტიზაციას არ წყვეტს მაშინაც, როცა არამატერიალური აქტივი არ გამოიყენება, გარდა ისეთი შემთხვევისა როცა ის ბოლომდეა ამორტიზირებული ან კლასიფიცირებულია გასაყიდად გამიზნულად ფასს 5-ის შესაბამისად.

ე) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური მარაგის ღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს. წარმოების თვითღირებულებასა და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

ვ) ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ბასს (IAS) 39-ის მიხედვით, ფინანსური აქტივი შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, ან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები საჭიროების შემთხვევაში ჰეჯირებისთვის. „კომპანია“ თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც „კომპანია“ გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

შემდგომი შეფასება დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კლასიფიკაციაზე.

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზირებული ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR), გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზირებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი შესყიდვისას დისკონტის ან ნამეტი თანხის, აგრეთვე იმ საკომისიო გადასახდელებისა თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგებაში ან ზარალში, ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში. სესხებთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღიარება ხდება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში, ხოლო სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აისახება საოპერაციო ხარჯებში.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივებიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივებში, რომელიც „კომპანიამ“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარებული უნდა იყოს ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

რესტრუქტურიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება

ვადაგადაცილებულ სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებს „კომპანია“ ანიჭებს რესტრუქტურიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანებების კლასიფიკაციას. „კომპანია“ რესტრუქტურიზებულ დებიტორულ დავალიანებას პროცენტს არ არიცხავს. „კომპანიას“ თვისი ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე არ გააჩნია არსებითი დებიტორული დავალიანებები, შესაბამისად ვადაგადაცილებული სავაჭრო დავალიანებებიც „კომპანიას“ არა აქვს.

გაუფასურება

თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, „კომპანია“ აფასებს ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნების არსებობას. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად განიხილება თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მოსალოდნელ მომავალ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

„კომპანია“ ინდივიდუალურად აფასებს თითოეული თავისი ფინანსური აქტივის გაუფასურებას.

საპროცენტო შემოსავალი აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში მოგებაში ან ზარალში. სესხები და მისაღები ანგარიშები მათთან დაკავშირებულ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მათი ამოღების პერსპექტივა არ არსებობს.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ბასს (IAS) 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები. „კომპანია“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას. ყველა ფინანსური ვალდებულების თავდაპირველი აღიარება ხდება თავდაპირველი ღირებულებით. „კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს (მე-16 შენიშვნა).

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების, გაუქმების და ამოწურვის შემთხვევაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა, ან აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

ზ) გადასახადები

i) მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის

სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი).

„კომპანიის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ ეს კონკრეტული (შემოსავალი, ხარჯები და აქტივები) მიეკუთვნება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღგ-ის ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ბრუნვას მიეკუთვნება, მათი გათვალისწინება ხდება თვითღირებულებაში.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

iii) საშემოსავლო გადასახადი

„კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით - 20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

თ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

ი) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ თუ წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად „კომპანიას“ აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის წინასწარი შეფასებაც სარწმუნოდ შეიძლება და ვალდებულების დასაფარად შესაძლოა ეკონომიკური სარგებლის გადინება გახდეს საჭირო. ანარიცხების განსაზღვრა ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების დაბეგვრამდელი განაკვეთით დისკონტირებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გაუქმების აღიარება აისახება, როგორც ფინანსური ხარჯი. 2017 წლის საანგარიშო პერიოდში „კომპანიას“ ანარიცხების აღიარების ვალდებულება არ ჰქონია.

კ) შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება. „კომპანიის“ ეკონომიკური საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად.

ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავალი კლასიფიცირებულია საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლებად.

ლ) ხარჯები

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლებად წარმოდგენილია პერიოდის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

5. გამოცემული სტანდარტები, რომლებიც არ არის შესული ძალაში

სტანდარტები და ინტერპრეტაციები რომლებიც გამოიცა, მაგრამ „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ და კომპანია აპირებს ამ სტანდარტის მიღებას მათი ძალაში შესვლის შემდგომ საჭიროების შემთხვევაში.

ფასს (IFRS) 9. ფინანსური ინსტრუმენტები

2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასს) გამოსცა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტების“ ბოლო ვერსია, რომელიც ანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები, აღიარება და შეფასება“ და ფასს 9-ის ყველა წინა ვერსიას. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტის პროექტის ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია, შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. ფასს 9 მოქმედებს წლიური პერიოდისათვის, რომელიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ, ადრეული გამოყენების დაშვებით. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, სავალდებულოა რეტროსპექტული გამოყენება, მაგრამ შესაძარის ინფორმაცია სავალდებულო არ არის.

ფასს (IFRS) 15. შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 გამოიცა 2014 წლის მაისში და განსაზღვრავს ხუთ ეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ასახვით. ფასს 15-ის მიხედვით შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების მიხედვით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. აღნიშნული სტანდარტის სრული რეტროსპექტული გამოყენება ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდისთვის, დასაშვებია უფრო ადრე გამოყენებაც. კომპანია აპირებს სტანდარტის მიღებას მისი ძალაში შესვლის თარიღისათვის სრული რეტროსპექტული გამოყენებით.

ფასს (IFRS) 16. იჯარა

ფასს 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“. ფასს 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების შეფასების, წარდგენის და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას ერთ საბალანსო უწყისზე.

ფასს 16-ით როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა. ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდისათვის.

6. შემოსავლები

ლარი	31-12-17
შპს "აჭარისწყალი ჯორჯიაზე" შესრულებული სამუშაოების მიწოდება	80,262,954
სხვა საოპერაციო შემოსავლები	399,523
სულ შემოსავლები	80,662,477

7. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

ლარი	31-12-17
ძირითადი და დამხმარე მასალების დანახარჯი	(1,077,323)
შესრულებული სამუშაოები	(31,165,186)
შრომის ანაზღაურება	(18,810,693)
ამორტიზაცია და ცვეთა	(2,922,463)
იჯარა	(4,122,328)
კომუნალური ხარჯი	(766,219)
დაზღვევა	(243,236)
ტექნიკის რემონტის ხარჯი	(2,485,916)
საწვავ-საპოხი მასალების ხარჯი	(2,206,643)
სპეც-ტანსაცმლის, თეთრეულის ხარჯი	(75,408)
ტრანსპორტირების ხარჯები	(816,600)
დაცვის ხარჯი	(403,150)
საგარანტიო მომსახურება	(769,348)

რეალიზებული საქონელი	(16,536)
სულ გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(65,881,047)

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	31-12-17
შრომის ანაზრაურება	(11,218,958)
ამორტიზაცია და ცვეთა	(30,931)
იჯარა	(50,399)
საკანცელარიო ხარჯი	(12,985)
სამეურნეო ხარჯი	(60,894)
დაცვის ხარჯი	-
კომუნალური ხარჯი	(4,350)
მცირე ფასიანი ინვენტარის ხარჯი	-
მივლინების ხარჯი	(208)
კომუნიკაციის ხარჯი	(101,053)
კომპიუტერის ხარჯი	(9,245)
საკონსულტაციო ხარჯები	(282,452)
მიმდინარე რემონტის ხარჯი	(16,672)
ბანკის საკომისიო	(11,391)
საგადასახადო ხარჯი/ჯარიმა	(927,261)
ადმინისტრაციული ჯარიმა	(2,472)
სხვადასხვა ხარჯები	(198,998)
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(12,928,268)

9. სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

ლარი	31-12-17
მოგება/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	(20,227)
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	36,014
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	15,786

10. ფინანსური შემოსავალი/ხარჯი

ლარი	31-12-17
საპროცენტო შემოსავალი	11,594
კურსთაშორის სხვაობიდან წმ. შემოსავალი/ზარალი	(2,646,649)
სულ ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	(2,635,056)

11. ძირითადი საშუალებები

ლარი	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	დამხმარე ინვენტარი და მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
<i>ისტორიული ღირებულება</i>	17,524,604	236,818	5,372,310	2,122,666	99,153	4,132,767	29,488,317
დაგროვილი ცვეთა	(11,035,970)	(124,943)	(3,317,559)	(1,385,462)	(64,887)	(2,731,140)	(18,659,960)
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება 2017 წლის 01 იანვრის მდგომარეობით</i>	6,488,634	111,875	2,054,751	737,203	34,266	1,401,627	10,828,357
მიღებულია 2017 წლის საანგარიშო პერიოდში			263,269	98,189	3,160		364,618
დარიცხული ცვეთა	(1,752,849)	(30,009)	(598,356)	(222,546)	(10,265)	(331,745)	(2,945,771)
გასული	(343,635)	(3,783)	(66,837)	(21,198)		(311,949)	(747,404)
<i>ნარჩენი ღირებულება</i>	4,392,149	78,083	1,652,826	591,648	27,160	757,932	7,499,799
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	4,392,149	78,083	1,652,826	591,648	27,160	757,932	7,499,799

12. არამატერიალური აქტივები

ლარი	პროგრამული უზრუნველყოფა	ბუღალტრული პროგრამა	ჯამი
ისტორიული ღირებულება	57,289	4,080	61,369
ამორტიზაცია	(29,472)		(29,472)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2017 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	27,817	4,080	31,897
მიღებულია 2017 წლის საანგარიშო პერიოდში	-	-	-
დარიცხული ამორტიზაცია	(7,624)	-	(7,624)
გასული	0	-	0
ნარჩენი საბალანსო ღირებულება	20,193	4,080	24,273
წმინდა საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	20,193	4,080	24,273

13. მარაგები

ლარი	31-12-17
სამშენებლო მასალები	720,724
მანქანის და ტექნიკის ნაწილები	853,425
დაუმთავრებელი წარმოება	2,150,758
საწვავი და საპოხი მასალა	48,611
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	69,644
სულ ინვენტარი	3,843,163

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და გადახდილი ავანსები

ლარი	31-12-17
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,864,595
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	2,480
მოთხოვნები პარტნიორის მიმართ	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	290,056
საექვო ვალების ანარიცხები	-
სულ მოთხოვნები	3,157,131

15. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი

ლარი	31-12-17
ფულადი სახსრები ლარში	41,056
ფულადი სახსრები დოლარში	2,857,647
ფულადი სახსრები ევროში	-
სულ ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	2,898,704
ნაღდი ფული ლარში	32,057
სულ ნაღდი ფული	32,057

16. ვალდებულებები

ლარი	31-12-17
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(3,290,241)
მიღებული ავანსები	(2,166,269)
გადასახდელი ხელფასები	(1,085,911)
საგადასახადო ვალდებულებები	(925,550)
სულ ვალდებულებები	(7,467,971)

17. რისკების მართვა

ა) ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, „კომპანია“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიაზე“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისათვის „კომპანიის“ მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბ) რისკების მართვის სტრუქტურა

„კომპანიის“ ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა „კომპანიის“ რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. „კომპანიის“ ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

„კომპანიის“ რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „კომპანიაზე“ რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „კომპანიას“ მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინური და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

გ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით

გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი „კომპანიას“ ძირითადად წარმოეშვება სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან და საინვესტიციო ქაღალდებიდან.

საკრედიტო რისკის გავლენა

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკზე დამოკიდებულებას. საკრედიტო რისკის მიმართ მაქსიმალური დამოკიდებულება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის იყო შემდეგი:

ლარი	31-12-17
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,157,131
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	2,930,760
	6,087,891

დ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრებით ან ფინანსური აქტივებით. ლიკვიდურობის მართვის „კომპანისეული“ მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია, გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, „კომპანიას“ ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა, როგორც ჩვეულ, ისე - სტრესულ მდგომარეობაში, მისი რეპუტაციის ქვეშ დაყენების და დანაკარგების წარმოშობის გარეშე. ფულადი სახსრების დიდი ნაწილი (90 %) განთავსებულია მიმდინარე ანგარიშზე ბანკებში, რომელიც ასევე ამყარებს „კომპანიის“ ლიკვიდურობას.

არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები

საბალანსო
ღირებულება

ლარი	31-12-17
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(3,290,241)

ე) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ვ) კაპიტალის მართვა

„კომპანიის“ საქმიანობიდან გამომდინარე, მას არ აქვს ფორმალური კაპიტალის მართვის პოლიტიკა. გარდა ამისა, „კომპანია“ არ ექვემდებარება კაპიტალთან დაკავშირებულ გარე მოთხოვნებს. „კომპანიის“ კაპიტალის მართვაზე გადაწყვეტილებებს იღებს მისი მფლობელი.

18. პირობითი ვალდებულებები

ა) საგადასახადო პირობითი ვალდებულებები საქართველოში

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილება, რომელიც ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია „კომპანიას“ დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული საგადასახადო ვითარებები ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს და წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე მათი გავლენა (იმ შემთხვევაში, თუ უწყებები წარმატებით განახორცილებენ მათ ინტერპრეტაციებს) შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

ბ) სასამართლო დავები და სარჩელები

ხელმძღვანელობის აზრით, ადგილი არ აქვს მიმდინარე სამართლებრივ საქმეთწარმოებას ან სხვა დარჩენილ დავას, რამაც შესაძლოა არსებითად იმოქმედოს „კომპანიის“ ფუნქციონირებასა და ფინანსურ მაჩვენებლებზე, და რომლებიც არ არის დარიცხული ან განხილული წინამდებარე ანგარიშგებაში.

გ) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება. „კომპანია“ პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ „კომპანიას“ გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან ან გარემოს აღდგენასთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ა) ოპერაციები მმართველ რგოლთან

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც გათვალისწინებულია სახელფასო ხარჯებში (იხ. მე-8 შენიშვნა):

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ოპერაციები მმართველ რგოლთან

ლარი	31-12-17
ხელფასი და ბონუსები	2,778,946

ოპერაციები დამფუძნებელთან

ლარი	31-12-17
სს აგე ინშაუტ ვე თიჯარეთ	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (საქონლის რეალიზაცია)	26,937
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (იჯარა)	596,941
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (საგარანტიო მომსახურება))	788,654
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (საქონლის შეძენა)	449,535

20. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება

სააღრიცხო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს ფასს-ის სტანდარტზე გადასვლის შემდეგ, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა. აქედან გამომდინარე, მოცემულ სტანდარტზე გადასვლის თარიღისათვის კორექტირების თანხები გაუნაწილებელ მოგებაში ან საკუთარი კაპიტალის სხვა კატეგორიაში აღიარებას არ დაექვემდებარა.

21. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

იავუზ დიქერ	დირექტორი	_____
ქეთევან ძირკვაძე	მთავარი ბუღალტერი	_____

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ოპერაციები მმართველ რგოლთან

ლარი	31-12-17
ხელფასი და ბონუსები	2,778,946

ოპერაციები დამფუძნებელთან

ლარი	31-12-17
<i>სს აგე ინშაუტ ვე თიჯარეთ</i>	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (საქონლის რეალიზაცია)	26,937
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (იჯარა)	596,941
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (საგარანტიო მომსახურება))	788,654
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (საქონლის შეძენა)	449,535

20. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება

სააღრიცხო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს ფასს-ის სტანდარტზე გადასვლის შემდეგ, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა. აქედან გამომდინარე, მოცემულ სტანდარტზე გადასვლის თარიღისათვის კორექტირების თანხები გაუნაწილებელ მოგებაში ან საკუთარი კაპიტალის სხვა კატეგორიაში აღიარებას არ დაექვემდებარა.

21. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.



დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

(Handwritten signatures in blue ink)

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის შესახებ

შპს AGE BATUM - საქართველოს მთავრობის მხრიდან წარმოდგენილი ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ კომპანიას შორის ხელმოწერილი დოკუმენტის „185 MW შუახევის (მაღალმთიან აჭარაში) ჰიდროელექტრო სადგურის პროექტის სამშენებლო სამუშაოების შესრულებისათვის“, საქართველოს მოქმედი კანონის ფარგლებში 04.06.2013 წელს შეიქმნა და დღეის მდგომარეობით შპს AGE BATUM-ის დაქვემდებარებაშია სამშენებლო სამუშაოებთან ერთად, ზემოთ აღნიშნული პროექტის მსვლელობისას, პროექტის ჰიდრომექანიკური, ელექტრომექანიკური, ავტომატიზაციისა და ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების გაყვანაც.

კომპანიის გენერალური დირექტორის სახით წარმომადგენელი ბატონი იავუზ დიქერია. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი ბათუმი, გოგებაშვილის ქუჩა N: 60.

შპს AGE BATUM-ის დამფუძნებელი კომპანია, 100 % წილის მფლობელი სს აგე ინშაათ ვე თიჯარეთ (AGE İNŞAAT VE TİCARET A.Ş.)-ია, რომლის სათაო ოფისი ანკარა/თურქეთშია. დამფუძნებელ კომპანიას, დაარსებიდან დღემდე თურქეთის სამშენებლო სეგმენტზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

შპს AGE BATUM ახორციელებს მრავალ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, როგორიცაა კაშხალი და მარეგულირებელი, წყლის და მაგისტრალური გვირაბები, დამაკავშირებელი გზები, ელექტროსადგურების შენობები, ასევე მრავალი მსგავსი ინფრასტრუქტურული პროექტები, დამატებით აწარმოებს რიგი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვასა და მშენებლობას, როგორიცაა ელექტრომექანიკური, ჰიდრომექანიკური, ოპტიკურ-ბოჭკოვანი დაკაბელება.

კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

საქართველოს აქვს პოტენციალი 25 ათასი ნაკადის, 5 ათასი მგვტ-ის სრული მოცულობის 20 ათასი მეგავატი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის. ქვეყანას, რომელსაც გააჩნია ისეთი მდიდარი ჰიდროენერგეტიკული რესურსები, შესაბამისად აქვს ინფრასტრუქტურული პროექტების პოტენციალი. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გეოგრაფიული სიახლოვე არსებობს, ქვეყანა მნიშვნელოვან შესაძლებლობებს სთავაზობს თურქულ კონტრაქტორებს. AGE BATUM -ს გააჩნია შესაბამისი გამოცდილება და მზარდი ინფრასტრუქტურის გამოცდილების გათვალისწინებით, კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა, განახორციელოს დიდი და რთული კაშხალის და გვირაბის პროექტების მშენებლობა.

რისკების მიმოხილვა

ფირმა იღებს შემოთავაზებებს სამშენებლო პროექტის მოწოდების თაობაზე 185 მგვტ შუახევის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის სპეციფიკაციების შესაბამისად. მზადდება ცხრილები

მიღებული შემოთავაზებს ფასების შედარებისათვის, მათ შორის: ფასის შეთავაზება, მიწოდების დრო, მიწოდების უწყვეტობა, გადახდის პირობები და კრიტერიუმების შესაბამისობა, ამის შემდეგ ხდება შესაბამისი მომწოდებლის არჩევა. კომპანია ასევე ითვალისწინებს მსოფლიო ბაზრების ფასებს მატერიალური და მომსახურების ხელმისაწვდომობის მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ მას შემდეგ, რაც ტექნიკური დასტურის მიღება ხდება, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მომწოდებლის შეცვლაც ერთ-ერთი პროცედურაა. ჩვენი უმთავრესი მიზანია დაიცვას ყველა ჩვენი ვალდებულება ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, უახლესი ტექნოლოგიებისა და მასალების გამოყენებით, ხოლო ფინანსური იმპულსის პარალელურად, ჩვენი უმნიშვნელოვანესი მიზანია მდგრადი ზრდის გზების დაცვა ჩვენი სოციალური და ეკოლოგიური ზემოქმედების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას ჰყავს ერთადერთი დამკვეთი, გამოცდილებიდან და დიდი პროფესიონალიზმიდან, ის ბაზარზე ინარჩუნებს მდგრად მდგომარეობას ელექტრო ჰესების მშენებლობაში.

შპს AGE BATUM-ს არ გააჩნია საკრედიტო ვალდებულებები სესხების სახით, მას ჰყოფნის საკუთარი საბრუნავი ფულადი სახსრები კომპანიის წინაშე დასმული ვალდებულებების შესრულებაში. ასევე არ განიცდის სავაჭრო მოთხოვნების მიღებას, დამკვეთის მიერ. ყოველივე აქედან გამომდინარე კომპანიას აქვს შესაძლებლობა მართოს საბრუნავი ფულადი სახსრები პროექტის მოთხოვნილების შესაბამისად.

კომპანიას არა აქვს ჩატარებული მიმოხილვა პროდუქტის/მომსახურების კვლევა განვითარებაზე შპს AGE BATUM-ს სრული მოგების კოეფიციენტი 2016 წელს შეადგენდა 19,5%, 2017 წელს კი 18 %. კომპანიას 2017 წელს შემოსავლები საგრძნობლად შეუმცირდა, მაგრამ საერთო მოგების პროცენტული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით თითქმის შეინარჩუნა, თუმცა არ აღმოჩნდა საკმარისი დაეფარა უარყოფითი საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი, ამიტომაც კომპანიამ 2017 წელს იზარალა.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება და შიდა პოლიტიკა

კომპანიის სტრუქტურა მაქსიმალურადაა არის მორგებული ბიზნეს საქმიანობის გამარტივებას და ეფექტურობაზე, სტრუქტურის სათავეში გვევლინება დირექტორი იავუზ დიქერი. კომპანიის არსებული ქვედანაყოფები ექვემდებარებიან დირექტორს ან/და ზედამხედველ სტრუქტურულ ერთეულს. სწორედ ეს ქვედანაყოფები არიან პასუხისმგებლები ბიზნესის ოპერაციულ საქმიანობაზე.

საერთაშორისო რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით შექმნილი კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვისათვის კომპანიაში შექმნილია პოლიტიკები, რომლებიც განსაზღვრავენ თანამშრომელთა მოქცევისა და ყოველგვარ დარღვევაზე ადეკვატურ რეაგირების წესებს.

პერსონალის შერჩევა

კომპანიის პერსონალთა შერჩევა შემდეგნაირად ხდება - ტექნიკური ჯგუფის წარმომადგენლები თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეებით იქნა დაკომპლექტებული

ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხოლო დამხმარე მუშახელი ძირითადად ადგილობრივი მოსახლეები არიან. კომპანიის დეპარტამენტებისთვის ცალკეულად ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომ იყოფა თითოეული თანამდებობისათვის მიკუთვნებული ფუნქცია-მოვალეობებისათვის დამახასიათებელი პროცედურის აღწერილობით. ჩვენი სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და განახლების პროცესში გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თითოეული თანამშრომლის უფლება-მოვალეობების ზუსტ გამიჯვნას და პროცედურული ინსტრუქციების ნათლად გამოხატვას, რათა მოხდეს შესარულებელი სამუშაოს სრულად და ოპერატიულად დაფარვა, ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

შპს AGE BATUM-ს არ გააჩნია სამეთვალყურეო საბჭო, კომპანიის შიდა განყოფილებების მეშვეობით ხდება კონტროლი შესრულებულ ან/და შესასრულებელ ოპერაციებზე, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, იერარქიული სტრუქტურის მიხედვით.

სუბიექტის მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობისა და ფუნქციონირების მიმოხილვა

კომპანიის მმართველობითი ორგანოს წევრები არიან: კონსულტანტი საწარმოს მმართველობისა და სამშენებლო დარგში ათილა ონენი (2018 წელს გარდაიცვალა), გენერალური დირექტორი იავუზ დიქერ, ტექნიკური კოორდინატორი სეზაი აზიზოღლუ, პროექტის დირექტორი ამჟამად ზეჟი ილმაზ, ადრე ნაზიმ ქურდოღლუ, აღმასრულებელი დირექტორი ილჰან აზიზოღლუ, ფინანსური მენეჯერი ერდალ ერჯიიეს (2018 წლის 15 სექტემბრამდე).

- კონსულტანტი საწარმოს მმართველობისა და სამშენებლო დარგში: მშენებლობის მიმდინარეობისას სამშენებლო პროცესების მონიტორინგი, საწარმოს მმართველობისათვის არქიტექტურულ, სამშენებლო დაგეგმარებასთან დაკავშირებით კონსულტაციების გაწევა, საწარმოს სწორი მართვის დაგეგმარება და შესაბამისი კონსულტაციების გაცემა;
- გენერალური დირექტორი: კომპანიის შიდა ოპერაციების კონტროლი;
- ტექნიკური კოორდინატორი: პერსონალისა და ფინანსური ანგარიშგების კონტროლი;
- პროექტის დირექტორი: პროექტთან დაკავშირებული ყველა სახის თემის განხილვა, გადაწყვეტილების მიღება, დამსაქმებელთან კომუნიკაცია;
- აღმასრულებელი დირექტორი: შიდა ოპერაციებისა და პერსონალის მართვა;
- ფინანსური მენეჯერი: ბანკი, გადარიცხვები, ბიუჯეტირება, ყველა სახის ფინანსური ოპერაციები;

კომპანიის წესდება არ შეცვლილა. წევრების დანიშვნასთან და შეცვლასთან დაკავშირებით რაც შეეხება, მხოლოდ მმართველი ორგანოს წევრს უნდა ჰქონდეს გამოცდილება, განათლება და შესაბამისი კვალიფიკაცია.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესებთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემის მიმოხილვა

შპს AGE BATUM-ს გააჩნია იერარქიული სტრუქტურა. ორგანიზაციის სტრუქტურული მონახაზის მიხედვით ყველა განყოფილება თანმიმდევრულად ექვემდებარება ერთმანეთს. ყველა ის პროცედურა, რასაც ასრულებს შპს AGE BATUM ზემდგომი განყოფილების დასტურის საფუძველზე ხდება. ყველა შესრულებულ ან/და შესასრულებელ ოპერაციას თან ერთვის შესაბამისი განყოფილების უფროსის მოთხოვნის აქტი ხელმოწერილი, რის საფუძველზეც სრულდება ოპერაცია. მაგალითად, სამშენებლო ობიექტიდან, კერძოდ კომპანიის საწყობიდან რომელიმე მასალის შესყიდვისათვის, დგინდება მოთხოვნის ფორმა, სადაც ხელს აწერს საწყობის გამგე და იმ განყოფილების უფროსი, ვისგანაც მოთხოვნა წამოვიდა, მოთხოვნის აქტის საფუძველზე შესყიდვების მენეჯერი აწარმოებს შესაბამისი ფორმის ძიებასა და მასალების შესყიდვას, მასალების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტითა (ანგარიშ-ფაქტურა, ზედნადები, ინვოისი, ხელშეკრულება) და მოთხოვნის ფორმით ფინანსური განყოფილება აწარმოებს გადარიცხვას, რომელსაც უდასტურებს კომპანიის პროექტის დირექტორი ან/და გენერალური დირექტორი. აღნიშნული ჯაჭვური ოპერაციების საშუალებით კომპანიაში ჩამოყალიბებულია რისკის მართვის სისტემა.

შპს AGE BATUM-ს დამფუძნებელი თურქული კომპანიაა, რომლის უფლება-მოვალეობანი მოწესრიგებულია კომპანიის წესდებით. პარტნიორთა კრება კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა, პარტნიორი უფლებამოსილია მართოს კომპანია, როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლის მიერ. პარტნიორთა კრება იმართება წელიწადში ერთხელ, სამეურნეო წლის დამთავრებიდან ორი თვის ვადაში.

არაფინანსური ინფორმაცია

კომპანიის საქმიანობის რისკების ანალიზი

კომპანიის საქმიანობის რისკის მიზანი არის - ორგანიზაციის მიზნების განხორციელების გაადვილება, კომპანიის ღირებულების შექმნის პროცესზე წვლილის შეტანასთან ერთად შესაძლო დანაკარგების თავიდან აცილება, ჩვენი პოლიტიკაა კორპორაციული მართვის პროცესის ინტეგრირება არსებული კორპორაციული მართვის პროცესთან, მომავალი მოვლენების იდენტიფიცირება, რითაც შეიძლება წინასწარ დადგინდეს დადებითი ან უარყოფითი ზემოქმედება, განავითაროს ეფექტიანი სტრატეგია მოვლენების გამოვლენისა და მართვისათვის, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად მოახდენს გავლენას ეს მოვლენები ორგანიზაციაზე.

კორუფციასთან ბრძოლა

კომპანიის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიღება. შპს AGE BATUM მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებას თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორ არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე. ამ კუთხით კომპანიას გააჩნია შიდა კონტროლის სისტემა, რომლითაც ცდილობს აღმოფხვრას ყველა შეუსაბამო ორგანიზაციის შიდა პოლიტიკასთან და კანონის მოთხოვნებთან.

კომპანიის შიდა პოლიტიკა

კომპანიის ბიზნესი ხასიათდება თავისი სპეციფიკით და მას არეგულირებს საქართველოში მოქმედი შემდეგი კანონები და კანონქვემდებარე აქტები:

- საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების“ შესახებ;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“; „წყლის ანგარიშგება“-ს ყოველი წლის ბოლოს კომპანია წარუდგენს საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება #42 „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებისა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში“;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება #582 „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური ანგარიში“; ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმის წარდგენას კომპანია ახდენს წელიწადში ერთხელ, საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში, ელექტრონულად (<http://emoe.Gov.ge>).

ის, რაც ვერ რეგულირდება ზემოთ ხსენებული კანონით და ნორმატიული აქტებით, კომპანიას შემუშავებული აქვს თავისი შიდა პოლიტიკა, რომელიც ასევე ეყრდობა საქართველოში მოქმედ ყველა საკანონმდებლო აქტებს.

საქმიანობის რისკების ანალიზი

კომპანია, 185 MW შუახევის ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობს ფარგლებში მასალების/ მომსახურების შესყიდვასა და წარმოებას ახორციელებს საკუთარი ხარისხის მართვის სისტემების გამოყენებით. ძირითადად კომპანია იყენებს ISO 9001: 2008, ISO 14001: 2004, და OHSAS 18001: 2007 საერთაშორისო სერტიფიკატებს, რომლის მფლობელია AGE İNŞAAT VE TİCARET A.Ş, ჩვენი დამფუძნებელი კომპანია.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი და მთავარი ბუღალტერი.

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

კომპანიის შიდა პოლიტიკა

კომპანიის ბიზნესი ხასიათდება თავისი სპეციფიკით და მას არეგულირებს საქართველოში მოქმედი შემდეგი კანონები და კანონქვემდებარე აქტები:

- საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების“ შესახებ;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“; „წყლის ანგარიშგება“-ს ყოველი წლის ბოლოს კომპანია წარუდგენს საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება #42 „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებისა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში“;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება #582 „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური ანგარიში“; ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმის წარდგენას კომპანია ახდენს წელიწადში ერთხელ, საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში, ელექტრონულად (<http://emoe.Gov.ge>).

ის, რაც ვერ რეგულირდება ზემოთ ხსენებული კანონით და ნორმატიული აქტებით, კომპანიას შემუშავებული აქვს თავისი შიდა პოლიტიკა, რომელიც ასევე ეყრდობა საქართველოში მოქმედ ყველა საკანონმდებლო აქტებს.

საქმიანობის რისკების ანალიზი

კომპანია, 185 MW შუახევის ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობს ფარგლებში მასალების/ მომსახურების შესყიდვასა და წარმოებას ახორციელებს საკუთარი ხარისხის მართვის სისტემების გამოყენებით. ძირითადად კომპანია იყენებს ISO 9001: 2008, ISO 14001: 2004, და OHSAS 18001: 2007 საერთაშორისო სერტიფიკატებს, რომლის მფლობელია AGE INŞAAT VE TİCARET A.Ş., ჩვენი დამფუძნებელი კომპანია.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი და მთავარი ბუღალტერი.

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

